

## ტექნიკური დავალება

### მითითებები სატენდერო-საპროექტო დოკუმენტაციის

#### მომზადების/ცვლილების/წარმოდგენის შესახებ:

სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულდეს ტექნიკურ დავალებაში, ფასების ცხრილებში (ხარჯთაღრიცხვა), ნახაზებსა და რენდერებში მოცემული პირობების და რაოდენობების შესაბამისად.

პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის (შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი) წარმოდგენისას უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების შესაბამისად.

პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვა ატვირთული უნდა იქნას Excel-ის ფორმატის ფაილის სახით, ფასების ცხრილის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა ან/და დაშვებულ ზღვრულ ნორმაზე მეტად განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).

სამუშაოების წარმოების პროცესში, სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით განსაზღვრული ახალი პოზიციის ერთეულის ფასის ფარგლებში, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

სატენდერო დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვაში) ჩამოთვლილ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული საქონლის ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი იგულისხმება მსგავსი, უკეთესი ან ექვივალენტური.

## სამუშაოს შესრულების ვადა

აუცილებელი პირობა:

ვინაიდან ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის (მიმწოდებლის) სატენდერო წინადადება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, სამუშაოების შესრულების პროცესში მიმწოდებელი ხელმძღვანელობს მისივე სატენდერო წინადადებაში მოცემული გრაფიკით განსაზღვრული ვადებითა და სამუშაოების ეტაპების განხორციელების თანმიმდევრობით სამუშაოების შესრულების კონკრეტულ გრაფიკს ადგენს თვით პრეტენდენტი თავის სატენდერო წინადადებაში, რომელიც არ უნდა სცდებოდეს შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადებს.

სამუშაოების შესრულების ვადა: შემსყიდველის მიერ სამუშაოების დაწყების შესახებ წერილობითი მოთხოვნიდან, სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 4 (ოთხი) თვე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით);

სამუშაოს შესრულება ხორციელდება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი, მხარეთა შეთანხმებით დამტკიცებული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (სამუშაოების შესრულების გრაფიკი).

სამუშაოს შესრულების გრაფიკში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მოტივირებული წერილობით ინიციატივის საფუძველზე.

„შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ სამუშაოთა წარმოების შეჩერება გარკვეული დროით (აღნიშნული დროის სავარაუდო ან ზუსტი მითითებით), რისი მიზეზიც შეიძლება იყოს წინამდებარე ხელშეკრულების ფინანსური უზრუნველყოფის საორგანიზაციო საკითხები. ასეთ შემთხვევაში განაცდური დრო არ ჩაითვლება ვადაგადაცილებაში.

## სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი:

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

სამუშაოების შესრულების ადგილია - ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა N41 მდებარე მიწის ნაკვეთი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 03.01.23.742)

## ობიექტის ტერიტორიის გადაცემა, უსაფრთხოება, სამობილიზაციო სამუშაოები:

სამუშაო ობიექტის, ადგილის გამოყოფა წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;

სამუშაოების დაწყებამდე მიმწოდებელმა თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს მინიმუმ 1 ცალი საინფორმაციო დაფა (150 სმ/100 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.

სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა მიმწოდებელმა მოახდინოს ტერიტორიის დაკვალვა (საკადასტრო წითელი ხაზის მიხედვით) მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ხელსაწყოების (GPS, Total Station) მეშვეობით, რის დამადასტურებლადაც საჭიროა წარმოადგინოს დაკვალვის დამადასტურებელი შესაბამისი აქტი (დედანი) ხელმოწერილი შესაბამისი სპეციალისტის/ორგანიზაციის მიერ.

მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ ობიექტის ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საქმიანობის უსაფრთხოებაზე. პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე; მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტკერის გავლენა;

სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 5 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისაგან და ა.შ;

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაო პროცესში მისთვის საჭირო კომუნიკაციის მიყვანა და ასევე ამ პროცესში მოხმარებული კომუნალური მომსახურების გადახდა (ელექტროენერგია, წყალი);

მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები ობიექტის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

### **ობიექტის ტერიტორიაზე შესვლა მითითებები, ინსპექტირება:**

მიმწოდებელი უნდა მისცეს საშუალება პროექტის მენეჯერს და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილ ნებისმიერი პირი შევიდეს ობიექტის ტერიტორიაზე ან ნებისმიერ ადგილას, სადაც ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს კონტრაქტთან დაკავშირებული სამუშაოები. განახორციელოს პროექტის მენეჯერის ან ტექნიკური ზედამხედველის ყველა მითითება/განკარგულებას, რომელიც შეესაბამება იმ ადგილის კანონმდებლობას, სადაც ობიექტია განლაგებული.

შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ სამუშაოს განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ინსპექტირება.

მიმწოდებელი ვალდებულია ფარული სამუშაოები აწარმოოს ტექნიკური ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის წევრის (წევრების) უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლები, კერძოდ დაქირავებული საზედამხედველო კომპანია, საავტორო ჯგუფის კომპანია- შპს „გოდოლი 2008“, კომპანია ვაისალას მიერ გამოყოფილი ზედამხედველ(ებ)ი.

საზედამხედველო კომპანიის ფუნქციებია:

1. ტექნიკური ზედამხედველ(ებ)ი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2. გაუწიოს სისტემატიური ინსპექტირება საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე.

3. შესრულებული სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა დამასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის ინსპექტირება.

4. საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილი დეფექტების აღმოფრისათვის საკითხის დროულად დაყენება და შესრულებაზე ინსპექტირება. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის საფუძველზე მომზადებული მშენებლობის წარმოების პროექტის გადამოწმება, შეთანხმება და ინსპექტირება მის შესრულებაზე.

5. მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერტიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობის შემოწმება.

6. სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალის წარმოების შემოწმება და მასში შესაბამისი ჩანაწერებისა და შენიშვნების განხორციელების უფლებამოსილება და წარმოება.

7. მონაწილეობა სამშენებლო ინსპექტირებისა და მშენებლობის ცალკეული ეტაპის სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის შემოწმება-შეფასებაში და პროექტთან შესაბამისობის დადგენაში.

8. პირველადი საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებაზე ინსპექტირება და სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ნაკლოვანებებისა და დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის ოპერატიულად აღმოფხვრისათვის

ლონისძიებების გატარება და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანაზე საკითხის დაყენება/შეტყობინება შემსყიდველს.

9. მონაწილეობა მუშა კომისიების მიერ ცალკეული სამშენებლო სამუშაოების ხარისხზე და საპროექტო მონაცემთა შესაბამისობაზე ჩატარებულ შემოწმებებში.

10. სამუშაოთა ცალკეული ეტაპის დასრულების შემდეგ ტესტირების ჩატარების მოთხოვნა.

11. ინსპექტირება შემსრულებლის მიერ გამოყენებული მასალების და კონსტრუქციების შენახვის ნორმებთან შესაბამისობაზე.

12. საჭიროების შემთხვევაში პროექტსა და ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ შემსყიდველ მხარეზე არგუმენტირებული წინადადებების/განმარტების წარდგენა.

13. მშენებლობის პროცესში მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ შემსყიდველისათვის სისტემატიური ინფორმაციის მიწოდება (შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი პერიოდულობით) წერილობითი ან ზეპირსიტყვიერი ფორმით (მუშა თათბირის ოქმები, აქტები, და სხვა), სამუშაოთა შეჩერების ან შეფერხების წარმოქმნისთანავე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველზე ზეპირი ან/და წერილობითი ინფორმაციის მიწოდება დაუყოვნებლივ.

14. სამუშაოების დასრულებამდე, დასრულების შემდგომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადაში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოჩენა.

15. სამშენებლო, არქიტექტორული და სხვა გადაწყვეტების შესაბამისობის ანალიზი პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან, რისკების გამოვლენის მიზნით.

16. მშენებლობის ხარისხის შესაბამისობის დოკუმენტური ანალიზი. პროექტის მიმდინარეობის საერთო ანგარიში.

### **შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა**

შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადებად (გარდა მექანიკური და დივერსიული ზემოქმედებისა) განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან:

1. კონსტრუქციულ ნაწილზე არანაკლებ 3 (სამი) წელი;

2. გათბობა-ვენტილაციის, ელექტროგაყვანილობის, სუსტი დენების, ვიდეო-კამერების ნაწილზე არანაკლებ 1 (ერთი) წელი;
3. მანქანა-დანადგარებზე არანაკლებ 3 (სამი) წელი;

საგარანტიო ვადის განმავლობაში შესრულებული სამუშაოებზე (საქონელზე) დეფექტის/წუნის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში იგი უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს ახლით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად დადგენილ ვადაში;

სამუშაოს (საქონლის) ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან შემსყიდველის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების თარიღიდან 1 წლის ვადით დაკავებული იქნება მიწოდებული სამუშაოს ღირებულების 2,5%-ის ოდენობა.

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს მიწოდებული სამუშაოს ღირებულების 2,5%-ის ოდენობის უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების თარიღის 1 წლიან პერიოდს.

თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი აღნიშნული გარანტიით განსაზღვრულ ღირებულებაზე მეტი ოდენობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ზიანის ღირებულების ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

## საპროექტო სამუშაოების წარმოება, დამზადება და შესაბამისობა პროექტთან:

პროექტი შედგება ორი ნაწილისგან: სარადარე კოშკის მონტაჟს და რადომის (რადარის) აწყობას.

სარადარე კოშკის დეტალური საპროექტო ნახაზები მოცემულია კონსტრუქციულ ნაწილში, რომელსაც გავლილი აქვს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს დადებითი ექსპერტიზა. მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენლ პროექტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში (რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნოლოგიური პროცესების ან მასალის დეფიციტის შემთხვევაში) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წამოუდგინოს კორექტირებული პროექტი და პროექტის განმეორებითი ექსპერტიზის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს დადებითი დასკვნა. ყოველივე ზემოაღნიშნულ პროცედურას უნდა ახლდეს პროექტის საავტორო და საზედამხედველო ჯგუფის წერილობითი დასტური/რეკომენდაცია.

ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში რადომის კონსტრუქციას (ბირთვი) და რადარს შემსყიდველი მიმწოდებელს გადასცემს თბილისის საბაჟო ტერმინალზე ან სხვა სასაწყობე ფართში დასაწყობებული სახით; გაფორმდება შესაბამისი დროებითი მიღება-ჩაბარების აქტი, რის შემდგომაც მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ტვირთის უსაფრთხო შენახვის, ტრანსპორტირების და მონტაჟის შესახებ. რადომის კონსტრუქციის აწყობა უნდა განხორციელდეს უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე (იხ. ორგანიზაციის პროექტი).

### *ინფორმაცია ტვირთის და მისი ტრანსპორტირებ(ებ)ის შესახებ:*

1.

- ა) გადაზიდვა 1 მოიცავს: თბილისი-ქუთაისი ტრაილერით გადაზიდვას, ტვირთის დაზღვევას,
- ბ) ტვირთის დატვირთვა ტრაილერზე თვითმცლელით (პაგრუშიკი, მუშა ხელი) თბილისი,
- გ) ტვირთის ჩამოტვირთვა ტრაილერიდან თვითმცლელით (პაგრუშიკი, მუშა ხელი) ქუთაისი;



დ) ტვირთის დატვირთვას, ჩამოტვირთვას დაესწრება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი და ასევე შესაძლოა ვაისალას წარმომადგენელი.

ე) ტვირთზე - ტრანსპორტირება, დატვირთვა, ჩამოტვირთვა (დასაწყობება), უსაფრთხოება და დაზიანებაზე - პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

ვ) მის:თბილისი (საბაჟო ტერმინალი ან სხვა სასაწყობე ფართი) - ქუთაისი (სასაწყობე ფართში).

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში თუ ტვირთის საქართველოში ჩამოსვლა განხორციელდა მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში განახორციელოს გადაზიდვა

- 1.

- 2.

ა) საწყობი - ქუთაისში სასაწყობე ფართი.

საიჯარე ობიექტს წარმოადგენს სასაწყობე ფართი ქ. ქუთაისში, რომელიც საჭიროა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კუთვნილი ტვირთის (მეტეოროლოგიური რადარის) დასაწყობებისთვის. სასაწყობე ფართი უნდა იყოს არანაკლებ 200 კვ/მ. ჭერის სიმაღლე არანაკლებ 5 მ. (ისე რომ თავისუფლად უნდა მიუდგეს სატრანსპორტო საშუალება რომლითაც ხდება ტვირთის ტრანსპორტირება, ე.წ. ტრეილერი) დასაწყობებასთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს ავტომატური თვითმცლელი/მტვირთავი. სასაწყობე ფართი უნდა იყოს მშრალი, იზოლირებული და დაცვით უზრუნველყოფილი.

ბ) ტვირთი უნდა იყოს დაზღვეული დასაწყობების დღიდან - საწყობიდან გატანის დღემდე.

### **დასაწყობების პირობები**

გ) რადარის აღჭურვილობა ანუ შემადგენელი ნაწილები შეფუთულია ცალკე დეტალებად, მიღებული ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისას, ყურადღება მიაქციეთ შეფუთვაზე დატანილ მარკირებას. მარკირებულია ყუთების ზედა პირები. მიუხედავად იმისა, რომ ტვირთი შეფუთულია , აღჭურვილობა დაზიანებისაგან დაცული იქნას ტრანსპორტირების დროს და საწყობში შენახვის დროს, საჭიროა ტვირთთან ფრთხილად მოეპყობად) ტვირთის

მოცულობის და ზომების დეტალები მოცემულია ცხრილის სახით: ყუთების რაოდენობა, შემადგენლობა და ზომები, დეტალური ინფორმაცია შემსყიდველის მიერ მიწოდებული იქნება მიმწოდებლისთვის დამატებით.

ე) დაასაწყობეთ აღჭურვილობა თავისივე ტრანსპორტირების შეფუთვაში. აღჭურვილობის გახსნა უნდა მოხდეს მხოლოდ Vaisala-ს წარმომადგენლის ნებართვით, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული.

ვ) დაიცავით შეფუთვაზე მითითებული მარკირების მითითებები.

ზ) უზრუნველყავით, რომ დასაწყობების ტერიტორია იყოს სუფთა, მშრალი და შეესაბამებოდეს ელექტრონული აღჭურვილობის შენახვის პირობებს.

თ) ანტენის რეფლექტორები შეიძლება იყოს დასაწყობებული გარეთ თავისივე ტრანსპორტირების შეფუთვაში.

ი) რადარის კარადა ყოველთვის ვერტიკალურ პოზიციაში შეინახეთ/დაასაწყობეთ. არასდროს არ დააწვინოთ იგი გვერდულად. დაიცავით შეფუთვაზე მითითებული მარკირების მითითებები.

კ) შეინახეთ/დაასაწყობეთ მაგნეტორნული გადამცემი იმ აღჭურვილობისგან მოშორებით, რომელიც შეიძლება მგრძნობიარე იყოს ძლიერი მაგნიტური ველებისადმი.

ლ) საგარანტიო პირობები:

მომსახურება უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, არ უნდა დაზიანდეს დასაწყობებისთვის განკუთვნილი ტვირთი, მიმწოდებელი პასუხისმგებელია ტვირთის სრულფასოვნად და უნაკლოდ შენახვაზე.

.

3. გადაზიდვა 2 მოიცავს: ქუთაისის საწყობიდან ტვირთის გადაზიდვა სამშენებლო (ავტომშენებლის ქ.# 41 ს/კ 03.01.23.742). მოედანზე.

გადაზიდვა 2 მოიცავს ტვირთზე ყველა იმ პირობას რაც გაწერილია გადაზიდვა 1-ში.

4. სამშენებლო ობიექტზე რადომის აწყობა და რადარის კომპურაზე დადგმა (მონტაჟი). ობიექტზე რადომის აწყობას დაესწრება ვაისალას სპეციალისტი, სააგენტოს წარმომადგენელი და ასევე ტექნიკური ზედამხედველი (ზედამხედველობის ფარგლებში).

\* შენიშვნა: სასაწყობე ფართის ადგილმდებარეობას, ტვირთის გადაადგილებას და ა.შ. განსაზღვრავს მიმწოდებელი დამკვეთთან შეთანხმებითა და მისი თანხმობის საფუძველზე.

ცხრილში წარმოდგენილია ხის (ფანერის) ტრანსპორტირების ყუთების ზომები, რომლებიც ტიპურად გამოიყენება WRM200 რადარის აღჭურვილობის მიწოდებისას. გაითვალისწინეთ, რომ ყუთების ზომები შეიძლება შეიცვალოს ტრანსპორტირების მეთოდის შესაბამისად.

**ცხრილი: ტრანსპორტირების ყუთების რაოდენობა, ყუთის სახეობა და ზომები**

ყუთი №	მთლიანი წონა (კგ)	ნეტო წონა (კგ)	ზომები (სმ)	ყუთის სახეობა
1	47	37	93 x 74 x 48	მუყაო
2	56	46	93 x 60 x 46	მუყაო
3	71	61	93 x 60 x 46	მუყაო
4	211	191	80 x 54 x 147	პალეტი
5	379	115	471 x 90 x 247	ხე (ფანერა)
6	379	115	471 x 90 x 247	ხე (ფანერა)
7	548	444	488 x 46 x 78	ხე (ფანერა)
8	1200	910	306 x 192 x 133	ხე (ფანერა)
9	30	20	193 x 60 x 46	მუყაო
10	469	379	122 x 68 x 200	ხე (ფანერა)
11	28	18	79 x 61 x 45	მუყაო
12	45	35	101 x 62 x 54	მუყაო
13	45	35	101 x 62 x 54	მუყაო
14	39	29	101 x 62 x 54	მუყაო
15	39	29	101 x 62 x 54	მუყაო
16	39	29	101 x 62 x 54	მუყაო
17	33	23	101 x 62 x 54	მუყაო
18	25	15	91 x 59 x 26	მუყაო
19	1046	446	300 x 220 x 250	ხე (ფანერა)
20	760	210	250 x 170 x 250	ხე (ფანერა)
21	550	325	340 x 99 x 80	ხე (ფანერა)
22	42	32	221 x 34 x 37	მუყაო
<b>ჯამი</b>	<b>6081 კგ</b>	<b>3544 კგ</b>	<b>66.381 მ<sup>3</sup></b>	

ყველა ყუთი არის ფანერის და მხოლოდ მცირე ზომის ყუთების განთავსება შეიძლება ერთმანეთზე.

Vaisala-ს მეტეოროლოგიური რადარის აღჭურვილობა შეფუთულია იმგვარად, რომ სისტემა დაცული იყოს მექანიკური დაზიანებისგან/ზემოქმედებისგან.

# WRM100/200 RADAR EQUIPMENT PACKING

WRM100/200 Radar equipments are packed in wood/plywood boxes or cardboard boxes. Detailed weight and dimensions are listed on Installation Manual E210864EN, Chapter 5 - Specifications for Transportation. Inside boxes parts are covered with plastic sheets.

All boxes are labeled with customer name, address information and case number is included in packing list.

## Radar Pedestal and Equipment



1) Picture: Typical radar equipment shipment (pedestal, cabinet, UPS and accessories).



2) Picture: Typical shipment

Total number of boxes depends on the scale of contract. There may be additional equipment, test equipment or tools in the contract.

## Radar Antenna

Radar antenna is packed inside plywood boxes



3) Picture: Antenna box (total 2 similar)



4) Picture: Antenna halves, normally there are no plastic covers around boxes.



5) Picture: Antenna accessories. This box is equipped with pulling strap to make unloading from sea container easier.

## Transportation

All radar parts can be loaded inside Truck.



6) Picture: Truck shipment

## Radome

Radome is packed inside plywood/wooden boxes. Size and weight of accessory box depends on ordered accessories.



7) Picture: Radome boxes

აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოების პროცესში პრეტენდენტის (შემდგომში მიმწოდებლის) მიერ გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და მაღალის ხარისხის, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი, ასევე სამუშაოების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას აღნიშნული სამუშაოებისთვის განკუთვნილი გამოსაყენებელი მასალებისა და მოწყობილობების ნიმუშები მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში (მოთხოვნა შესაძლოა განხორციელდეს როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად), აღნიშნული ნიმუშები, როგორც ხარისხის, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით შეიძლება დაწუნებულ იქნას შემსყიდველის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები არ იქნება მოწონებული შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში შემსყიდველისათვის მისაღები სხვა ნიმუში, მასალა და მოწყობილობა.

–სამუშაოებისათვის გამოსაყენებელი მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ და მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მიმწოდებელი ვალდებულია სარაღარე კოშკის ლითონკონსტრუქციის აწყობა მოახდინოს დახურული საწყობის პირობებში და გაითვალისწინოს კონსტრუქციულ პროექტში მითითებული ყველა შენიშვნა/რეკომენდაცია. ლითონკონსტრუქციები სამუშაოების დასრულებისას (ან ყოველ ეტაპზე) მიმწოდებელი ვალდებულია საზედამხედველო კომპანიას წარუდგინოს პროექტით გათვალისწინებული შენადული ნაკერების ხარისხის და დამუშავების შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა.

-სამუშაოებისათვის საჭირო მასალები უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის და შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ნორმებს.

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისას გამოყენებული მასალების ტექნიკური მახასიათებლები როგორცაა ფერი, ფაქტურა, ზომები და ფორმები გამოყენებამდე შეთანხმებული უნდა იყოს შემსყიდველითან.

-სამუშაოების შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს. ამასთანავე შემსყიდველის მოთხოვნის და ასეთის არსებობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე წარმოადგინოს შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სერტიფიკატები).

აუცილებელი მოთხოვნები სამუშაოების წარმოებისას: მიმწოდებელი ვალდებულია დეტალურად შეისწავლოს პროექტი, რადგან საპროექტო სამშენებლო ნაგებობა წარმოადგენს მაღალი რისკის ობიექტს; სამშენებლო რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით შემსყიდველი გამოხატავს მზაობას გაუწიოს ორგანიზება სამუშაო თათბირს სადაც წარმოდგენილი იქნებიან საპროექტო, საზედამხედველო, მიმწოდებლის და შემსყიდველის წარმომადგენლები.

## **დაზღვევა**

მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველსა და მიმწოდებელის ერთობლივი სახელით დააზღვიოს გადაცემული ტვირთი დაწყების თარიღიდან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე (საბაჟო ტერმინალიდან ან სხვა სასაწყობე ფართიდან - ე. ქუთაისში



საწყობამდე ტრანსპორტირება, საწყობში ყოფნის პერიოდი და საწყობიდან სამშენებლო ობიექტამდე ტრანსპორტირება, მონტაჟის დასრულების ჩათვლით სრული პერიოდი).

ობიექტის დაწყების თარიღამდე მიმწოდებელმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს დამკვეთს სადაზღვევო პოლისები და სერთიფიკატები. ყველა მათგანში გათვალისწინებული უნდა იყოს კომპენსაციის გადახდა იმ ვალუტაში და იმ პროპორციული ოდენობით, რომელიც საჭიროა გაწეული ზარალისა და დანაკარგის ასანაზღაურებლად.

საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება რადარის სატესტო (რაც ითვალისწინებს რადარის ექსპლუატაციაში გაშვებას და მის გამართულ მუშაობას) მუშაობის შემდგომ.

პრეტენდენტის ხელმოწერა \_\_\_\_\_